



პრეზიდენტის ბრძანებულების შესახებ

დადგენილებაში შეტანილია ცვლილება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№ 299 30.04.96) "სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ" დამტკიცებული დებულების "სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ" შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით დაევალა იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად:

- ხელშეკრულების ტიპური ფორმა აქციების (აქციათა პაკეტის) მართვის უფლებით დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებზე, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე, იურიდიულ პირებზე გარკვეული ვადით გადაცემის შესახებ თანახმად დებულების 1.3 პუნქტისა.

- ტიპური წერილის ფორმა, რომლითაც უფლებამოსილი პირი ვალდებულია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმოს გადაწყვეტილებათა პროექტები თანახმად დებულების 2.2. პუნქტისა.

- ხელშეკრულების ტიპური ფორმა, რომელიც ფორმდება სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულ (დანიშნულ) წევრებთან (სახელმწიფო წარმომადგენელთან) თანახმად დებულების 2.5 პუნქტისა.

- ტიპური წერილის ფორმა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო წარმომადგენლები ვალდებული არიან, შეთანხმონ გადაწყვეტილებათა პროექტები სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის მიერ უფლებამოსილ პირებთან თანახმად დებულების 2.6. პუნქტისა.

- ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს დაევალა ერთი თვის ვადაში

შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად:

- სათანადო წესი და ანგარიშგების ტიპური ფორმა, რომლითაც სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არჩეული (დანიშნული) სახელმწიფო წარმომადგენლები წარუდგენენ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს სათანადო ანგარიშგებებს თაყვანით საქმიანობის შესახებ წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ, თანახმად დებულების 2.8. პუნქტისა.

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების (აქციათა პაკეტების) აღრიცხვის წესი თანახმად დებულების 4.2. პუნქტისა.

დაევალა საწარმოო დარგებისა და არასაწარმოო დარგების სამმართველოებს, უზრუნველყონ რესპუბლიკური დაქვემდებარების სააქციო საზოგადოებების აქციების (აქციათა პაკეტების) მართვის უფლების გარკვეული ვადით დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებზე, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე იურიდიულ პირებზე ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემის ორგანიზება ამ ბრძანების პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილი ტიპური ფორმებისა და წესების დამტკიცების შემდეგ.

დაევალოს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს, მუნიციპალური დაქვემდებარების სააქციო საზოგადოებების აქციების (აქციათა პაკეტების) მართვის უფლების გარკვეული ვადით დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებზე, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე, იურიდიულ პირებზე ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემის ორგანიზება ამ ბრძანების პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ტიპური ფორმებისა და წესების დამტკიცების შემდეგ.

კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ. დიდარიძეს.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ობიექტების პრევატიზებისას ობიექტების მუშაკთა ამხანაგობის მიერ ობიექტების ღირებულების ნაწილის საპრევატიზაციო ბარათებით დაფარვის წესისა და ვადების შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 05.04.1996 წ. № 3/105 ბრძანებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ბ-მა ა. სილაგაძემ 1996 წლის 10 ივნისს გამოსცა ბრძანება. მასში ნათქვამია, რომ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების პრევატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 30 ივნისის № 92 დადგენილების შესაბამის-

ად, ჯანდაცვის სამინისტროს შუამდგომლობისა (29.05. № 07/3) და იმის გათვალისწინებით, რომ საპრევატიზაციო ბარათების გაფრთხილების ვადა განისაზღვრა 1996 წლის 15 ივნისით, შეტანილ იქნა ცვლილება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის № 1-3/105 ბრძანებაში და ბრძანების I პუნქტით საპრევატიზაციო ბარათებით დაფარვის განსაზღვრული ვადის 1996 წლის 1 ივნისის ნაცვლად ობიექტის მფლობელებს შეუნარჩუნდათ პირდაპირი წესით შესყიდვის უფლება 1996 წლის 16 ივნისამდე, თუ დადგენილ ვადაში (01.06.96) გადაუხდელი საპრევატიზაციო ბარათები მათ მიერ დაფარული იქნება ორმაგი ოდენო-

ბით.

საპრევატიზაციო ბარათების დაფარვის ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისას მყიდველებს შეუნარჩუნდათ ობიექტის პირდაპირი წესით შესყიდვის უფლება იმ პირობით, რომ 1996 წლის 16 ივნისამდე გადაუხდელი საპრევატიზაციო ბარათები ორმაგი ოდენობით იქნება დაფარული 1996 წლის 1 ივნისამდე.

სამინისტროს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს დაევალოს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება პრესაში.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბატონ კ. იოსელიანს.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 12 ივნისის № 1-3/237 ბრძანებით № 28 საბარათო და № 45 საპროცედურული საბარათო აუქციონებზე ბასტანტის სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხებში ცვლილებათა დამტკიცების ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვის და დაგეგმვის

ბრძანებაში კერძოდ ნათქვამია:

1. შეტანილი იქნას ცვლილებები № 28 საბარათო და № 45 საპროცედურული საბარათო აუქციონების ნუსხებში.

1.1. სააქციო საზოგადოება "ფერსათი"-ს (№ 603) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად № 28 საბარათო აუქციონის ნუსხაში მითითებული 6643-ს უნდა იყოს 3504, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 9,904-ს უნდა იყოს 5.224, 30%-ით გამრდილი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 12625,58-ს უნდა იყოს 6659,65, ხოლო საწყისი ფასი საპრევატიზაციო ბარათებში

ნაცვლად 1263-ს უნდა იყოს 666.

1.2. სააქციო საზოგადოება "აბაშის პურის მიმღები"-ს (№ 911) აქციათა პაკეტი ამოღებულ იქნას № 45 საპროცედურული საბარათო აუქციონის ნუსხიდან.

2. დაევალოს რესპუბლიკის საბარათო და განაცხადების გადაამუშავებულ სააუქციონო ცენტრს (ე.ჯუღელი):

2.1. უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის რესპუბლიკურ გამეთიში გამოქვეყნება და განაცხადების მიმღებ ყელა პუნქტისათვის დროული მიწოდება.

2.2. შეწყდეს აღნიშნულ სააქციო საზოგადოებებზე განაცხადების მიღება და უზრუნველყოს შესაბამისად შეტანილი საპრევატიზაციო ბარათების (თუ ასეთი არსებობს) დაბრუნება.

2.3. განაცხადების მიმღები პუნქტების მეშვეობით უზრუნველყოს ცვლილებების შესახებ მათ ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოებების და ქონების მართვის ტერიტორიული ორგანოების ინფორმირება და აუქციონების დადგენილ ვადებში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად.

რ ვ ე ნ ი ბ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი

საინვესტიციო ფონდს შეუძლია ან...

საპროცედურული (საბარათო) საინვესტიციო ფონდების შექმნასთან დაკავშირებით გაიზარდა ინტერესი მათი საქმიანობის მოგიერთი იურიდიული მხარისადმი.

შემოსული წერილების მიხედვით დღეს განვითარებად მოგიერთი საკითხს, რომელიც ეკითხვებებს აინტერესებთ.

პრევატიზაციის საპროცედურული (საბარათო) საინვესტიციო ფონდების საქმიანობის რეგულირება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 6 ივნისის № 329 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საბარათო საინვესტიციო ფონდისათვის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10000 (ათი ათასი)

აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას, ეროვნულ ვალუტაში გარდა ამისა დებულების მეტაბეჭდვების თანახმად საბარათო ფონდს საქმიანობაში მთელი რიგი შეზღუდვები აქვს.

კერძოდ:

1) ფონდს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს: ა) ფასიანი ქაღალდები, ბ) საპრევატიზაციო ბარათები, გ) ფული, დ) უძრავი ქონება იმ პირობით, რომ მისი ღირებულება არ უნდა იყოს აქციების ღირებულების 5% მეტი, ხოლო დაფუძნებისას 25%-ზე მეტი, ე) სახელმწიფო ქონება (იგი არ უნდა აღემატებოდეს აქციების 5%-ს, გარდა სოცურუნველყოფის და დასაქმების ფონდების მიერ დაფუძნებული ფონდისა).

2) საბარათო ფონდს არა აქვს

უფლება:

ა) განახორციელოს ინვესტირება იურიდიულ პირთა, რომელიც ვერ არ საქმიანობს საქართველოში.

ბ) განახორციელოს ინვესტირება იმ საწარმოს ფასიანი ქაღალდებში, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ითვალისწინებს შეუზღუდავ (სრულ) პასუხისმგებლობას (მაგ. ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება).

3) ფონდს უფლება არა აქვს კრედიტით აიღოს ან გასცეს ფული.

4) გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა.

5) მიიღოს მონაწილეობა საგირანდო გარიგებაში, ან შესთავაზოს თავისი ქონება სესხის, გარანტიის

ან სხვა ვალდებულების უზრუნველყოფისათვის.

6) მოახდინოს ინვესტირება იმ იურიდიული პირის ფასიანი ქაღალდებში, რომელიც ფლობს ამ ფონდის აქციების 10%-ს ან მეტს.

7) დააბანდოს თავისი წმინდა აქციების ღირებულების 10%-ზე მეტი სახსრები ერთი იურიდიული პირის ფასიანი ქაღალდებში.

8) შეიძინოს ნებისმიერი იურიდიული პირის მიერ გამოშვებული ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების 20%-ზე მეტი.

9) შეიძინოს ფულით ან თავის აქციებზე გაცვლით საპრევატიზაციო ბარათები, თუ ფონდის საკუთრებაში არსებული საპრევატიზაციო ბარათების რაოდენობა აღემატება

მთლიანად რესპუბლიკაში გამოშვებული ვაუჩერების 5%-ს.

10) მოახდინოს ინვესტირება სხვა საინვესტიციო ფონდის ფასიანი ქაღალდებში.

11) მოახდინოს ინვესტირება დეპოზიტის, აუდიტორის, მმართველის ან დამფუძნებლის მიერ გამოშვებულ ფასიანი ქაღალდებში.

12) გამოუშვას ან გასცეს რაიმე გარანტია.

13) ფონდს უფლება არა აქვს გამოისყიდოს საკუთარი აქციები ე.ი. მას არა აქვს ე. წ. "პირამიდის" პრინციპით თამაშის საშუალება.

14) რეკლამის ან სხვა საშუალებით მისცეს გარანტია აქციონერს, ან პოტენციურ აქციონერს მომავალი დივიდენდების შესახებ.

№29 საბარათო აქტიონი

აუქციონი გარდება საფასურის 1996 წლის 1 ივლისამდე, წინასწარი დაფარვის პირობით, დადგენილი წესით 1996 წლის 30 ივნისს

Table with 10 columns: №, იყო აუქციონი №, სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე), გამომწვეული აქციების რაოდენობა, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა, %საწყის-დებო გაიგაღ-თან, ნომინალური ღირებულება აშშ დოლ., აქციითა გამოშვების კოდი, სააქციო საზოგადოების მისამართი და გულეფონი, გენერალური დირექტორი, დაკავშირებული ფართობი-ბიკა

(დასასრული)

Table with 11 columns: №, იყო აქტი-ობა, სააქციო საზოგადოების დასახელება, გამოშვებული აქციების რაოდენობა, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა, %საწეს-დებო-ბა, ნომინალური ღირებულება აშშ დოლ., აქციათა გამოშვების კოდი, სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი, გენერალური დირექტორი, დაკავშირების ფართობი-ბა

აქციათა პაკეტების მყიდველები ვალდებული არიან მხარი დაუჭიროონ გადაწყვეტილებებს დადგენილი წესით სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შესახებ №444 - ს/ს სასტუმრო "ვაკე"-ს აქციათა მყიდველთათვის სხვა პირობებთან ერთად აუცილებლად შესასრულებელი პირობაა ლტოლვილებისა და დაზარალებულთათვის საცხოვრებელი ადგილების შენარჩუნება დადგენილი წესის შესაბამისად

მხროლდ ციფრები №42 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

Table with 14 columns: აქციათა გამოშვების რიგითი ნომერი, სააქციო საზოგადოების დასახელება, გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი), განაცხადების რაოდენობა (ცალი) - 1 ტიპი, 2 ტიპი, სულ, ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) - 1 ტიპი, 2 ტიპი, სულ, გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი), აუქციონის კურსი, დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი), გაყიდული აქციების პროცენტი, ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულება

კრიტიკა

გულუბრყვილოდ (?) დასეული „პრობლემა“ — „მჩაგე ბიუჯეტი და მიმე გადასახადები“

გაზეთ "პრივატიზების მაცნე" ამა წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით: "პრობლემა — "მჩაგე ბიუჯეტი და მიმე გადასახადები". რომელიც კარგა ბლომად იყო გაჯერებული ყაჩაღობისა და ძარცვის უწყისებებით და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხახამშრალი დატოვა. თურმე ამ დიდ პრობლემას (სახელმწიფო ქონების კერძოთა ხელში გადაცემას) ვერ უშველა.

ავტორის აზრით, აქ მინუსების მთელი წყება ფიგურირებს. პირველი მინუსია მიმე გადასახადები, მეორე მინუსი — მჩაგე ბიუჯეტი. ამას ემატება მესამე მინუსი — სახელმწიფოს ხელში დარჩენილი "უმომოდ დიდი" ქონება. მესამე მინუსის მოხსნით (ე.ი. გაპლიუსებით) პირველი და მეორე მინუსი გაპლიუსდება და სამი მინუსის შეკრებით ერთ დიდ პლიუსს მივიღებთ. ესეც ახალი აღმოჩენაა, მათემატიკაში! დღემდე კი ყველაფერი პირიქით გვეგონა!

კი მაგრამ, როგორ უნდა მოხდეს ყოველივე ეს პრაქტიკულად? ცნობილია, რომ ვაუჩერების მოქმედების ვადა 1 ივლისს იწურება. ვაუჩერი რომ სახელმწიფო ქონების 30 დოლარაინი ნაწილის უფასოდ გაჩუქების საშუალება იყო და, იყოცხლეთ. ვისაც საშუალება ჰქონდა, 5-7 ლარად ბაზარზე მშიერ-მწყურვალთა და გაჭირვებულთაგან ნაყიდი ამ ფასიანი ქაღალდით კარგად მოითხო ხელი. მაგრამ სამწუხაროდ თითო კაცმა კანონით კუთვნილი თითო ვაუჩერი მიიღო (ის ყოველ-გაყიდა მომდევნო ეტაპი). როგორ გაგრძელდეს ეს პროცესი ისე, რომ ბიუჯეტი გადასახადებს დაეკავშიროთ? ავტორი თავის აღმოჩენას ასე გვიხსნის: "საკუთვსო და ალბათ ერთადერთი გამოსავალი იქნება ვაუჩერის მოქმედების დამოაერების შემდეგ შემოგველო ე. წ. საპრივატიზაციო ქეითარი. სახელმწიფო არსებული გადასახადების შესაბამისად ბიუჯეტში თანხის ყოველ შემოტანზე (ალბათ იგულისხმება გადასახადების მანამდე ურჩი გადახდლები) გასცემს შესაბამისი (ალბათ კუთვნილი გადასახადის) თანხის საპრივატიზაციო ქეითარს, რომლითაც შესაძლებელი იქნება საჯერ მეტი ფასის საპრივატიზებო ქონების საფასურის დაფარვა (ავტორი არ გვიხელს, რატომ

საჯერ მეტი და არა ორჯერ ან ოთხჯერ მეტი). ასეთი გადაწყვეტილება რადიკალურად შეცვლის სიტუაციას".

დაიძვრება ბიუჯეტში ურჩ გადახდლებითა დიდი ტალღა და მეწარმეები სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადების გადახდის სანაცვლოდ უფასოდ მიიღებენ გადახდილი გადასახადის თანხის ტოლფას საპრივატიზაციო ქეითარებს, შემდეგ კი გაველენ, ჩემო ბატონო, ბირეებსა და აუქციონებზე და ამ ქეითარების ღირებულების სახელმწიფო ქონებას უფასოდ დაეპატრონებიან. აი ასე, თავისი ქონების უფასოდ დარიცხვით საწყალი სახელმწიფო "გამოსტყუებს" ფულს მეწარმეებს, გადასახადებს იყიდის მეწარმეებისაგან, რომლებსაც იგი დღეს ნებაყოფლობით არ შეაქვთ (ე. ი. სულ ტყუილია გველოია ვებერთელა საგადასახადო სამსახური თავისი სპეციალური პოლიციით!). ავტორი თავის საინტერესო მსჯელობას ასე აგრძელებს: თუ გადასახადის გადახდელს იმდენი ქონება აქვს, რომ არ სურს პრივატიზაციის (ე.ი. ქონების უფასოდ მიღების) პროცესში მონაწილეობა (!), წავა, ბატონო, ბაზარში და უფასოდ მიღებულ, ეთქვამთ, 100 ლარაინ ქეითარს 300-ად თუ არა 120 ლარად მაინც გაყიდის და მოგებულს დარჩება.

დმერთო, დიდებულო! რა უბრალოა ყოველი დიდი აღმოჩენა, თორღნდ ყველაფერი ეს ძალეკა გასაკუთვბელი. 1 ივლისს ხომ კარგა მომდგარი და ბიუჯეტიც საშველია. სამწუხაროდ, ავტორი აქ ჩერდება (ეგყობა, რაც იფიქრა და იყოდა — თქვა) და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ეშველება ბიუჯეტს "უმომოდ დიდი ქონების" უფასოდ გასხვისების შემდეგ. შესაძლებელია მას იმის იმედის კი აქვს, რომ გადასახადის გადახდას დაჩვეული მეწარმეები შემდეგ უსახილლოდ გააგრძელებენ გადასახადების გადახდას. დმერთმა ქნას, მაგრამ არა მგონია ისინი ისეთივე გულუბრყვილონი იყვნენ, როგორც ჩვენნი ავტორია.

ავტორი არც იმაზე იტკივებს თავს, რომ ამ გოტალური პრივატიზაციის მიუხედავად პრივატიზებული (ისევე როგორც სახელმწიფო) საწარმოების საქმიანობა დღეს ვერ

რავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან არსებობს სხვა "მიმე" პრობლემებიც. მაგალითად, გაძარცვული და ძველი ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმოები, რომლებიც საერთოდ არ მუშაობენ ან უზნიშვნელო სიმძლავრით საქმიანობენ და არაკონკურენტუნარიან პროდუქციას უშვებენ, მათი სერიოზული სანაცვასა და ინვესტირების საჭიროება, რომლის სახსრები რესპუბლიკაში არ გვაქვს, უცხოელები კი სამეწარმეო გარემოს და გარანტირების უქონლობის გამო თავს გვარიდებენ (გაეხსენოთ ბატონი ვალავის პოზიცია!), სტაბილური ენერგეტიკის პრობლემა საწარმოს, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოუგვარებელი პრობლემები, გაფანტული კვალიფიციური სამუშაო ძალა და ა. შ. და ა. შ. ასეთ პირობებში მარტო საკუთრებითი ტრანსფორმაცია საქმეს ვერ უშველის. ერთი სიტყვით, ავტორი საოცრად "მჩაგე" დასვენებს აკეთებს "მჩაგე ბიუჯეტის" მიზნების თაობაზე (გადასახადებს არ იხდიან!) და იმას კი ვერ ამჩნევს (მართლა ვერ ამჩნევს?), რომ უაქტობრივად ეკონომიკა არ უწინქონირებს, ბიუჯეტი კი არსებობდა მიმოქცევის სფეროს და უცხოეთის "დახმარებე-

ბით" "სუნთქავს". ასეთ პირობებში ბიუჯეტის "დამძიმება" ისეთივე ოცნებაა, როგორც ოსტაპ ბენდერის საჭადრაკო სოფელი ვასიუკია. ეს კიდევ არაფერი. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ავტორს თავისი აღმოჩენისა, როგორც ჩანს, სერიოზულად სჯერა. სხვანაირად, ისეთ სოლიდურ საინფორმაციო გაზეთში, როგორც "პრივატიზების მაცნე" ასეთი მასალა არ დაიბეჭდებოდა. თუმცა რა, დღეს პრესაც თავისუფალია და მისი ავტორიც. ისე, გულახდილად რომ ითქვას, ნამდვილად უხერხულია უმძიმეს პირობებში მყოფ ქვეყნის მოსახლეობას დღეს ასეთი მსუბუქი ფლირტისმაგვარი ტონით ასეთ "აღმოჩენებზე" ვესაუბროთ. რა არის ეს, დაცინვა, ცინიზმი თუ "სანქტა სიმპლიციტას"? განა ფასიანი ქაღალდების სამსახურის უფროსმა ქაღალდების იქით არ უნდა გაიხედოს?

ჩვენი რეპლიკარომ პროფესიონალი კოლეგის რჩევაა და არა პირადი წყენის საუბრეელი. ავტორს ერთ ცნობილ ლათინურ გამოთქმას შევხსენებთ: პლატონი ჩემი მჯგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია.

ამირან ზაბისონია საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

რედაქციისგან: ბატონ ამირან გაბისონიას რეპლიკას თან მოყვა პაკარა ბარათი. აი ისიც:

"პაციენემულ რედაქტორს გთხოვთ წერილში თუ რაიმე ჩასწორება გახდა საჭირო, უჩემოდ ნუ იზამთ.

დაბეჭდვამდე სასურველია ანაბეჭდი წამაკითხოთ".

ავტორი ა. ზაბისონია. ცოლვა გამოცხილი ჯობს და არ გვეგონა, თუ სტილისტური ჩასწორების უფლება არ გვექონდა, მაგრამ, რას იზამ, ახლა ისეთი დროა, ყველას თავისი აზრი ჰგონია კანონის გოლფარდი. ამიგომ ბატონი ამირანი გამონაკლისი რომ არ აღმოჩნდეს, მის რეპლიკას ყოველგვარი ჩასწორების გარეშე ვებეჭდავთ. ოღონდ ერთ სურვილს ვერ უსრულებთ ბატონ ამირანს — ანაბეჭდს ვერ ვაკითხებთ. ესეც არა იმიგომ ჩვენი ამბიცია დავიკმაყოფილოთ, არამედ იმიგომ, რომ ყოველმა ავტორმა თავისი წერილი ანაბეჭდში თუ იკითხა, გაზეთის გამოშვებას ერთი თვე მაინც დასჭირდება. საამისო დრო რედაქციას ნამდვილად არა აქვს.

პასუხი რეპლიკაზე

გავეცანი რეპლიკას. მაღლობის მეტი რა მეთქმის. ბატონი ამირანი, სხვებისაგან განსხვავებით შევეცადა მაინც, გაეგო უმძიმესი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით შემოთავაზებული წინადადება.

მართალია, რეპლიკა უარყოფითი განწყობითაა გაჯერებული, მაგრამ თუ მას ჩამოეკაცილებთ ბელეტრისტიკას, უარყოფითს ვერაფერს ვიპოვით. რეპლიკის ავტორი, მიუხედავად ცინიკური ფორმით ციტირებისა, ფაქტობრივად ვერ უარყოფს წინადადების ვერცერთ დებულუბას. არც შედეგში ეპარება ეჭვი და ცდილობს დადებითი შედეგის შე-

ნარჩუნების შესაძლებლობა მაინც დააყენოს ეჭვქვეშ.

გულუბრყვილობად მიიჩნევს მოსაზრებას, რომ ჯანსაღი მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე მისი შექმნა.

მიუხედავად რეპლიკის ერთგვარი ყიციისა, რა თქმა უნდა არც ეხლა ვეცლები ყველაფერი: "რაც ვიფიქრე და ვიცი, ეთქვა", მაგრამ რეპლიკის ერთი მომენტის უკეთ გამოიფრვის მიზნით სიამოვნებით დავუსვამდი ბატონ ამირანს რამოდენიმე კითხვას:

1. ხომ არ გგონიათ, რომ უფრო მძლავრი ბიუჯეტი ნიშნავს:

- ა) უფრო მეტ სახსრებს, რომელთა ნაკლებობას ასე განიცდით საწარმოთა სანაყიისა და ინვესტირების საქმეში;
- ბ) სასურველ სახელმწიფო შეკვეთებს ან თუნდაც სახელმწიფოს დაეალებით შესრულებული სამუშაოების პაკისთან ანაზღაურებას;
- გ) მოგადად, მათ შორის მოსახლეობის გადახდის უნარის ამაღლებას ანუ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ახალი ტექნოლოგიის ღანერგვის წახალისებას (არაპირდაპირ ინვესტიციებს);
- დ) მეტ სახელმწიფოებრიობას, მეწარმისათვის სასურველ გარემოს და ა. შ...
- 2. ხომ არ გგონიათ, რომ ბიუჯეტში გადასახადების უფრო დაბა-

ლი პროცენტული განაკვეთები ნიშნავს:

- ა) მეტ სახსრებს წარმოების განვითარებისათვის;
 - ბ) მეწარმეთათვისა და ინვესტიციებისათვის (მ. შ. უცხო) სასურველ გარემოს;
 - გ) ფუნდამენტურ გამოკვლევებს, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზრუნება-მოზიდვას.
3. ხომ არ გგონიათ, რომ კითხვები ამჯერად საკმარისია და პასუხიც ნათელია. რა გამოდის? გამოდის, რომ მიუღებელი არაფერია. უბრალოდ უცნაური და უცხოა ამხელა პრობლემის ასე "მარტივად" გადაწყვეტა და რადგან უცნაურია, უცხოა.

ამდენად საშიში და მიუღებელია. ესაა რეპლიკის ლოგიკა.

რა რეპლიკის პასუხია და, მყავდა ბუბია, "გატანა ასალოენას" ვეძახდით. თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული, კულტურული და ღეთისმოსაყი ადამიანი იყო. ვერაფრით ტელეფონს ვერ შეგუბა. ეშმაკის მოტონილად თელიდა. ისე გარდაიცვალა 96 წლის ასაკში საცოდავი, ყურმილისათვის ხელი არ უხლია.

მანო ჩხეიძე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს უფროსი. იენისი 1996 წ.

მაღალი მსოფლიო...

რადიკალური რეფორმები - ნინაპირობა ეკონომიკის აყვავებისათვის

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომი პერიოდი იძლევა დასკვნების გამოტანის საშუალებას, თუ როგორ მიმდინარეობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თავისუფალი ეკონომიკის განვითარება...

მივ გაგრძელდა, შიდა ერთობლივი პროდუქტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ფულფასებიც.

მეორე ჯგუფი - რეფორმის გატარების "მეორე ტალღის" სახელით იხსენიება ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ყირგიზეთი, მოლდოვეთი, საქართველო და სომხეთი...

1995 წლის ბოლოსათვის ყველა ამ ქვეყანაში დამყარდა ფინანსური სტაბილიზაცია. ინფლაციის საშუალო თვიური ტემპები 2-2,5%-ს არ აღემატებოდა...

ეკონომიკური რეფორმის გატარების მონაცემებით, ეს ქვეყნები პირველი ჯგუფის ქვეყნებს ჩამორჩებიან...

1995 წლისათვის საშუალო თვიური ფულადი მასის ზრდის ტემპები შემცირდა 2%-მდე. შესარჩევი პროდუქტი იყო ინსტიტუციონალური რეფორმის გატარებისას...

პრივატიზაცია დიდი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოიცვა ფართო მასშტაბები, როგორც ეს პირველი ჯგუფის ქვეყნებში მოახერხეს.

არასახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი შიდა ერთობლივი პროდუქტის წარმოებაში 48,8%-ით თითქმის 15%-იანის პუნქტით დაბლდა, ვიდრე ეს პირველ ჯგუფშია...

ამწინვად შენედა, მაგრამ არ შეჩერებულა. ამასთანავე, 1996 წლის პირველი მაჩვენებლებით, ამ ქვეყნებისათვის 1995 წელი წარმოების შემცირების უკანასკნელი წელია...

მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან ქვეყნები, რომელთა მთავრობები ატარებენ არაკომპლექსურ და არათანმიმდევრულ რეფორმებს...

საშინაო და საგარეო ეკონომიკის ლიბერალიზაცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა. გახსნილი და დაფარული სახელმწიფოებრივი რეგულირება მუერნეობის მნიშვნელოვან სექტორებს მოიცავს...

მართალია, აღინიშნება შედარებით შენელებულია, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ეროვნული ვალუტის დევალვაცია...

ამის შემდეგ გასულ წელს გრძელდებოდა შიდა ერთობლივი პროდუქტის შემცირება. ამ ქვეყნებში შემცირება უფრო ღრმაა, ვიდრე მეორე ჯგუფის ქვეყნებში...

და ბოლოს, მეოთხე ჯგუფში შედიან ის ქვეყნები, რომელთა მთავრობებიც ან ძალზედ ნელა ან

საერთოდ არ ატარებენ რეფორმებს. ასეთებია: უკრაინა, ბელორუსია, თურქმენეთი და ტაჯიკეთი...

ეკონომიკის ლიბერალიზაცია ამ ქვეყნებში სრული არ აღმოჩნდა. ბელორუსიაში შეზღუდული ლიბერალიზაციის პირობებში მიმდინარეობს ბიუროკრატიული რეგულირების სისტემის აღდგენა...

ინფლაციის ტემპები კვლავ მაღალი რჩება უკრაინაში - 182%-დან ტაჯიკეთში - 2600%-მდე. ეროვნული ვალუტა სწრაფ დევალვაციას განიცდის, შიდა ერთობლივი პროდუქტის შემცირება საუკუნო კურსის ვარდნის ტემპებს შეესაბამება...

ეკონომიკური განვითარების ოთხწლიანი გამოცდილება თვალნათლივ გვიდასტურებს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ ფაქტორებს აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისათვის...

სწორედ ხელისუფლების სურვილსა და მონდომებას ეკონომიკის ლიბერალიზაციის და ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევისას, ეროვნული ეკონომიკა ან გაჯანსაღებისა და აყვავებისაკენ ან კრიზისისა და სტაგნაციისაკენ მიჰყავს.

"ფინანსური იზუსტია"

მაღალი მსოფლიო კოა-კოლაბორაცია ნაცვალ „კოკაოლს“ პირობებს

როგორც ირკვევა ევტიპელი ბიზნესმენები დიდ ინტერესს იჩენენ ყოფილი სსრკ ქვეყნებისადმი. გამოჩენილმა ბიზნესმენმა, რამდანმა განაცხადა, რომ დადგა რუსეთისა და ყოფილი სსრკ-ს ბაზრებში მათი "შეტრის დრო".

ჩემთვის საინტერესოა საინვესტიციო პროგრამები საქართველოში - აღნიშნა მან. - გარკვეული მიზეზების გამო უცხოელი ინვესტორები არ ჩქარობდნენ მოლაპარაკების დაწყებას ამ ქვეყანაში...

დააკვირდით როგორი შესაძლებლობებია აქ - იქნება ეს წარმოების ნიმუშები, ბუნებრივი რესურსები, უკვე შექმნილი საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა...

გიგანტური პერსპექტივები (პირველ რიგში სამკურნალო). მე მზად ვარ დაეხმარებოთ ინვესტიციები მთელ რიგ პროექტებზე - ჩაის წარმოებაში, მინერალური წყლის "ბორჯომის" ექსპორტირებაში და ა. შ. მე მზად ვარ საქართველოში ავაშენო ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა...

პლასტიკური ბოთლები მინერალური წყლისათვის, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები კურორტებსა და ზღვის სანაპიროებზე. ერთი სიტყვით, საქართველოს ყველანაირი შანსი გააჩნია იმისათვის, რომ მსოფლიო ტურიზმის ცენტრი გახდეს.

"დალოში მიწა"

Table with 10 columns: რეფორმის სახეები და ქვეყნები, ბიუჯეტის დეფიციტი %-ში შიდა ერთობლივი პროდუქტთან შედარებით, 2-ის გადაჭარბების საშუალო თვიური ტემპი %, არასახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი %, ინფლაციის საშუალო თვიური ტემპი %, საეკონომიკური კურსის ვარდნის საშუალო თვიური ტემპი %, შიდა ერთობლივი პროდუქტის გადაჭარბების ტემპი %, საშუალო თვიური ხელფასი, აშშ დოლარში, რეალური ხელფასის გადაჭარბების ტემპი 1993-1995 წ. %

მოქალაქე სავსა მოულოდნელობით

ფინანსურ მსახურს თანაგონი... ნიმუშ-ყვითელი პარამეტრი

ევროპის ჩემპიონატების ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს - მხოლოდ ერთ გურში 30 გაფრთხილება და გაძევება. მარგო გერმანია-ჩეხეთის მაგნი ინგლისელმა მსაჯმა ელერემი 10-ჯერ აწია ყვითელბარათიანი ხელი. უფას მიზანი ჩინებულად სრულდება - უხეშობის ყოველგვარი გამოვლინება მკაცრად ისჯება, მაგრამ სშირად ზომამე მკაცრად. ფეხბურთი ბალეტი არ არის მითამაშება მინდორზე ფეხისცერებით იარონ, თანაც რამდენადმე გაუგებარია ზოგიერთი არბიტრის მიერ უხეში თამაშის თავისებური ინტერპრეტაცია. ერთიადიგივე საქციელისათვის ერთი მსაჯი მხოლოდ ჯარიმას ნიშნავს და სიგყვიერ გაფრთხილებასაც არ იძლევა, მეორე - ყვითელ ბარათს "ექაჩება". ერთი სიგყვიერ, მსაჯობა მაინცდამაინც უზადო არ არის, მითუფრო, თუ გავიხსენებთ, რომ ხშირად ისინიც სკოლავენ. ესპანელთა კარში სკოიჩკოვის ნადი გოლი არ ჩაითვალა, რადგან გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა იქ, სადაც მსაჯის არაფერი ყოფილა, სამაგიეროდ ბულგარელთა კარში გატანილი გოლი მილიონობით ადამიანმა ნახა გარდა... არბიტრისა.

ასე რომ, მსაჯების წყალობით წინ კიდევ ბევრი "საინტერესო" წვთი გველის.

ზღაპრული მსაჯობა სპორტის მსაჯის ლაშქარი...

... და ვერც რუმინელებმა მოიმკეს რაიმე სახარბიელო. მაღალჩინოსნის-გენერლის (ეს

ჩინი სწორედ შესარჩევ გურნირში კარგად გამოცვლისათვის მიიღო რუმინელთა მწერთელმა) ბიჭებმა შესარჩევ თამაშებში პირველი ადგილი დაიკავეს, ფრანგებსაც კი გაასწრეს და, ეგყობა, იფიქრეს, ჩვენი მომრევი აქ არავინააო. აკი თქვეს კიდევ ლონდონში გამარჯვებისათვის ჩამოვედითო. კი ჩავიდნენ, მაგრამ სიგყვას ქვა დახვდა, ლეკვეტუსა და რადიოჩოუს თავის შეგოლებთან პირველებს მოუწიათ ინგლისიდან სამშობლოში დასაბრუნებელ ბილიეებზე მრუნვაბ.

დანიელებისათვის ამკარად მძიმე აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონატის გიგული - ხორვაკებთან განცდილმა მარცხმა და დასტურა ეს ისე კი ნამდვილად გულდასაწყვეტია ძმები ლაულრუპების შინ ვადაბე აღრე გამგზავრება, თუმცა სკოიჩკოვის "უსაქმოდ" დარჩენა გარკვეულ სინანულს იწვევს. ყველაზე დიდი მოულოდნელობა, მაინც იგალიელთა ჩინებულ გუნდის წარუმატებლობაა.

სიკვამლე ყოველთვის ვერცხლი რილია

ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკა მოიხივოს, რომ მოელენის, ფაქტის ანალიზის დროს კომენტაგორი იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური. არ ვიცი როგორ ახერხებენ ამას სხვები, მაგრამ რუსი კომენტაგორები რომ თავს ვერ იკავებენ ეს დღესათვის ნათელია. ისინი დაუფარავად გულშემატკივრობენ იმას, ვინც რამენაირად რუსების წინსვლას" შეუწყობდა ხელს. მარგო იგალია-ჩეხეთის მაგნი კმარა ამის საილუსტრაციოდ. რუსი კომენტაგორი მოხ-

ილული იყო არა ჩეხების ოსტაგობით, (ამის საფუძველი არც იყო), არამედ იგალიელთა დამარცხებით.

ეს შურისძიებას უფრო გავლა, ვიდრე მომხდარის ობიექტურ შეფასებას.

პრა უფლა მსაჯი სპა...

პური მეპურემ უნდა გამოაყოსო, ამბობს ბრძნული ანდაზა. ასეც არის: კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც კარგად იცის და ეხერხება. ლონდონში საასპარემოდ ჩასული მოგიერთი სპორტსმენი პირიქით იქცევა და... ხეირს ვერ ნახულობს.

დანიელებისათვის მაგნიში ხორვაკები დაწინაურდნენ - 2:0. დანიელთა შეკარე შმეხელმა იფიქრა, თავდამსხმელები ვერაფერს აკეთებენ გოლი მე უნდა გავიტანო და მორიგი კუთხურის დროს ხორვაკების საჯარიმო მოქალაქე აღმოჩნდა. კუთხური მისმა თანაგუნდელებმა უხეიროდ ჩააწოდეს, ბურთს ხორვაკები დაუფლუნენ, შმეხელი "კისრისგებით" გავარდა თავისი კარისკენ, დაბრუნება მოსწრო, მაგრამ დაღლილმა პოზიციამ სწორად ვერ შეარჩია და ... მესამე ბურთი გაუშვა.

მსგავს სიგყვამში აღმოჩნდა ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელი პენევი. ბულგარელები ფრანგებთან აგებდნენ - 0:1. ფრანგები ისევე უტევენდნენ, კუთხურის ჩამოწოდების უფლებაც მიიღეს. პენევი იფიქრა, აქეთ გოლი ვერ გამაქვს, ჩემს მცველებს მაინც მიეხმარებო. უკან ჩავიდა, ცენტრალური მცველის ადგილი დაიკავა, მეტოქეს დაასწრო და თავური დარტყმით ბურთი... საკუთარ კარში გაგზავნა. მეწადის გამოცხობილი პური, ეგყობა, ყოველთვის კუკი ენდა გამოვიდეს.

ჩვენი ლაქსიონი

ლაქსიონი - ეს არის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ყოველ სტადიაზე დაზარალებული დირექტორები. მასში შედის ხელფასი დაწარმების, ამორგობიერა, კრედიტზე პროცენტი, მოგება. დანახარჯები ელექტროენერგიაზე, რეკლამაზე, გრანსპორტზე და ა. შ.

საქონლის - დამატება საქონლის საპროდუქციო საბითუმო ფასებზე, რომელსაც უხდის მომხმარებელი, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციას. ეს არის აგრეთვე შემოსავალი, რომელსაც ელემენტარული მომარაგება-გასაღების ორგანიზაციას საწარმოთა მომარაგების და მათი პროდუქციის გასაღებისათვის.

ლაქსიონი - პროდუქტი, რომლის წარმოება დაწყებულია, მაგრამ არ არის დამთავრებული მოცემული საწარმოს ფარგლებში.

ლაქსიონი - ეს ის დროა, რომლის ამოწურვის შემდეგ მოვალე სახელმწიფო ვალდებულია დაფაროს სახელმწიფო სესხის საკრედიტო თანხა. ეს თანხები შეიძლება დაფარულ იქნას ნომინალური ფასის მიხედვით, რომელიც განპირობებული იყო ვალებით სესხის გამოშვების დროს ან ახალი ფასით იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სესხის მიხედვით გარდებოდა კონვენსია ან კონსოლიდაცია.

კონსოლიდაცია - განმტკიცება, გამაგრება, ცალკეული პირების ორგანიზაციების, ჯგუფების ერთსულური გაერთიანება საერთო მიზნებისათვის ბროლის გასაძლიერებლად.

კონსოლიდაცია - კონვენსირებული ობიექტების გაყვანა დაღვივებული რაოდენობის ჩვეულებრივ აქციებზე. ასეთი ობიექტებზე პროცენტი უფრო დაბალია, ვიდრე არაკონვენსირებულ ობიექტებზე. ამასთანავე კონვენსირება არის პროდუქტიული აქციების გაყვანა იმავე კომპანიის ჩვეულებრივ აქციებზე გამოშვების პირობების გათვალისწინებით.

კონსოლიდაცია - განმტკიცებული ნიშანი, რომლის საფუძველზე წარმოებს შეფასება, აღგზნების შედარება ან ობიექტებისა და მოქალაქეების კლასიფიკაცია.

ლაქსიონი - ფორმის, გნებათ პროდუქციის სრული ან შემოკლებული სახელწოდების საყვირად შემუშავებული, ორგანიზაციის მონახაზი.

ლაქსიონი - კომერციული ბანკებიდან ზოგიერთი სახის ანაბრების ვალდებულებების ამოღებისას პროცენტების განგზარმების შეყოფა, რომლის დროსაც ამოღებულად ითვლება თანხა, რომელიც თავიდანვე იქნა მიღებული ანაბრად.

ლაქსიონი - საბირთვო გარანტიების შესრულების ვადა, რომელსაც აძლევენ თვის შუა პერიოდში (15 რიცხვისათვის), მედიოსთან ერთად ბირჯებზე გამოყენება გარანტიების მიხედვით ანგარიშსწორების სხვა ვალებზე, რომელიც მოიხდის თვის ბოლო დღეზე. ეს არის ულტიმო.

ლაქსიონი - ბანკების და შექმნილი სალაროებში ანაბრების სახე, რომელსაც შენაბრებს შეუძლია მიიღოს ფული საკრედიტის მიხედვით, სასრების მოხსნისა და საკრედიტო თანხების წინასწარი შეტყობინების გარეშე. აგრეთვე შეუძლია მათი შევსება ნებისმიერ დროს. განსხვავებული ვითარებაა ვადა ანაბრებისათვის.

რეკლამა * რეკლამა * განცხადება * განცხადება *

აუდიტორული ფირმა შპს ლადი - აუდიტი ბთაქაზოპტი

- ❖ საწარმოს აუდიტორული შემოწმების ჩატარებას
- ❖ ყველა სახის ქონების შეფასებას
- ❖ ფირმების, სტაქციო საზოგადოებების და ა.შ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შემშადებას
- ❖ აქციონერთა რეესტრის წარმოებას
- ❖ საკონსულტაციო მომსახურებას

მისამართი: თბილისი 380060,
ამბროლაურის ქუჩა კორპ. 3, ბინა 11.
შეგიძლიათ დაწვკოთ გ. 37-40-49

"ლადი-აუდიტი" ბანსნოლი აქვს ფილიალური მშადებ ქალაქებში:

1. ფოთი - 26 მაისის ქ. №7	9. ობურგეთი - კობახიას ქ. №1
2. ბუჯდლი - ცოტნე დადაიანის ქ. №130	10. მესტრის - წერეთლის ქ. №9
3. სენაკი - მშვიდობის ქ. №131	11. ხაშური - კეცხოველს ქ. №10
4. აბაშა - მშვიდობის ქ. №1	12. გორი - სტალინის ქ. №4
5. ლანჩხუთი - თაბუკაშვილის ქ. №17	13. ხარაგაული - 9 აპრილის ქ. №15
6. სამტრედიი - რუსთაველის ქ. №10	14. ლაგოდეხი - 26 მაისის ქ. №23
7. წყალტუბო - რუსთაველის ქ. №25	15. წალენჯიხა - სალიას ქ. №3
8. ქუთაისი - ჭავჭავაძის ქ. №1-ბ	

შპს აუდიტორული-საკონსულტაციო ფირმა "ჭეშმარიტება"

გთავაზობთ

ნებისმიერი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს:

- წლიური ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებას და დასკვნის მომშადებას.
- ყველა სახის ქონების აუდიტორულ შეფასებას.
- საკონსულტაციო მომსახურებას.

ტელეფონები: 93-40-41, 37-69-73, 36-55-06 (18 ს-დან)

საკონსულტაციო-სამართლებრივი-საკონსულტაციო ფირმა "სამართლებრივი"

მაგისტრატურაში ჩაირიცხებიან უმაღლესი განათლების მქონე სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, რომელთაც გააჩნიათ სურვილი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება სრულყოფილ არჩეული საგნის სწავლების მეტოდიკაში, პედაგოგიის თეორიასა და ისტორიაში, ინფორმაციკაში და რიგ სოციოლოგიურ პრობლემებში. კურსდამთავრებულებს მიეცემათ მაგისტრის დიპლომი.

მაგისტრატურა იმუშავებს თბილისის კლასიკური გიმნაზიის ბაზაზე. სწავლების ვადა ერთი წელია. სწავლება ფასიანია.

მიმდინარე სასწავლო წელს მიიღებიან ქართული ენის, ისტორიის, უცხო ენების, ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლები.

სტობაპისათვის ლარეკამი: 98-48-07, 78-37-70, 39-05-03.
საბუთების მიღება იწარმოებს 1996 წლის 15 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე.

მისამართი:
პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ოფისი, მანდუკეის ქ. №1. მეორე სართული.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის ხელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრიატიზების მაცნე“ რეესტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. ხარვეზტრაციო ნომერია 0883

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციოთა დასაბუქად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სისუბტუს უსრუნველყოფენ ავტორები.

დღეებში დაწვებულ შედომებზე რედაქცია პასუხს არ აცხებს.

რედაქციოთა შემოსული წერილები არ რეესტრირდება. დღეებში ავტორებს არ უბრუნდება.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შეშოვთავაზებენ თანხის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბუქად 21.06.96 წ.